დაიჯესტი

26 მარტი - 3 აპრილი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

გაერთიანებული სამეფო

31 მარტს, ე.წ „დაეშის ბითლზების“ ყოფილი წევრის, ელ შაფი ელ-შეიხის პირველი სასამართლო მოსმენა გაიმართა. ელ-შეიხს ბრალად ედება ადამიანების მძევლად აყვანა და ტერორისტული ორგანიზაციის სახელით მკვლელობის დაგეგმვა. 2012-2015 წლებში ელ-შეიხის მიერ აყვანილ მძევლებს შორის იყო 4 ამერიკელი ჟურნალისტი.

გერმანია

გასულ კვირას, ბუნდესტაგის გადაწყვეტილებით, წარმატებით განხორციელდა სირიაში არსებული ალ-როჯის ბანაკიდან 10 ქალის და 27 ბავშვის გერმანიაში რეპატრიაცია.

ისრაელი

27 მარტს, ქალაქ ჰადერას ჩრდილოეთით მომხდარ სროლას ისრაელის პოლიციის ორი თანამშრომლის სიცოცხლე ემსხვერპლა. პოლიციის განცხადებით, თავდასხმა არაბული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის, შეხვედრის დროს მოხდა.

შეიარაღებული პალესტინელი მამაკაცის მიერ, 29 მარტს ბნეი-ბრაკის ქუჩებში გახსნილი ცეცხლის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა. პრემიერ-მინისტრმა, ნაფტალი ბენეტმა მომხდართან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ისრაელი არაბული ტერორიზმის მომაკვდინებელი ტალღის წინაშე დგას“.

სირია

სირიის დემოკრატიული ძალების მიერ 31 მარტს კონტრტერორისტული დაკავებების ფარგლებში HAT-ის ანტიტერორისტულმა რაზმმა ალ-ჰოლის ბანაკში 46-ზე მეტი პირი დააკავა.

ერაყი

27 მარტს, სამხედრი წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ერაყი აშენებს კედელს სირიის საზღვართან, რათა შეზღუდოს დაეშის მებრძოლების შეღწევა ქვეყანაში.

გასულ კვირას, ერაყის უსაფრთხოების ძალებმა გაავრცელეს ინფორმაცია ქირქუქის პროვინციაში დაეშის მებრძოლების სამალავებზე F-16 გამანადგურებლების დახმარებით განხორციელებული საჰაერო სპეცოპერაციის შესახებ. უსაფრთხოების ძალებმა დაეშის პოზიციებზე თავდასხმა 29 მარტს დაიწყეს.

ნიგერი

31 მარტს, ნიგერის პრეზიდენტმა, მოჰამედ ბაზუმმა, საჰელის რეგიონის ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეების შემცირების მიზნით, ნიგერიას რეგიონული სამხედრო ჯგუფის შექმნისკენ მოუწოდა.

ნიგერია

26 მარტს, შეიარაღებულმა პირებმა მოკლეს ერთი ადამიანი, აეროპორტში თავდასხმის დროს, ნიგერიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე შტატ კადუნაში. თავდამსხმელები აეროპორტში შეიჭრნენ და დაიწყეს სროლა თანამშრომელთა დასაშინებლად. მათ ცეცხლი გაუხსნენ უსაფრთოების თანამშრომლებს, მოკლეს ერთი მათგანი და შეიჭრნენ საფრენ ბილიკზე, რათა არ დაეშვათ თვითმფრინავის აფრენა.

სომალი

27 მარტს, სომალის უსაფრთხოების ძალებმა მოიგერიეს თავდასხმა სომალის ჩრდილო - აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულ სამხედრო ბაზაზე და მოკლეს ალ-შაბაბის 12 მებრძოლი. თავდასხმის დროს დაიღუპა სამი ჯარისკაცი.

პაკისტანი

პაკისტანის სახელმწიფო დაზვერვის სამსახურის მიერ გასულ კვირას ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, უსაფრთხოების ძალებმა ექვსი ბელუჯი სეპარატისტის ლიკვიდაცია მოახერხეს. დაზვერვის სამსახურის განცხადებით, სამალავებზე რეიდი 26 მარტს დაიწყო. სპეცოპერაციის ფარგლებში დაღუპულია ერთი ჯარისკაცი და დაიჭრა - ორი.